

TEZAUUR LITURGIC
4 AUGUST

ACATISTUL
SF.7 MUCENICI
DE LA EFES



TBILISI, 2000



დაუჯდომელი საგალობელი შვიდთა ყრმათა ეფესელთა

კონდაკი 1

მკუდრეთით აღმდგარისა ღმრთისა ქრისტეს მიერ
აღრჩეულნო, საკვირველნო ყრმანო, საყველთაოსა
მკუდრეთით აღდგომისა რწმუნებად ამის
სოფლისათვის გამოჩინებულნო ეფესოს შინა, თქუენ
შორის განდიდებულისა ღმრთისა მადიდებელნო,
ქების ღირსსა გალობასა შემოგწირავთ,
მეტყველნი: გიხაროდენ, ვნებათ დამთმენელნო
ქრისტესნო, საყოველთაოდსა მკუდრეთით აღდგომისა
საკვირველნო მქადაგებელნო!

იკოსი 1

ანგელოზთა შემოქმედმან, დასაბამითგან უწყოდა რად
შეუორგულბელი სიმტკიცე სარწმუნოებისა თქუენისა,
გშვათ ფიცხელთა მათ გარემოდგომილებათა შინა,
წინასწარმითხრობად საყოველთაოდსა მკუდრეთით
აღდგომისა, ვითარცა ანგელოზთ შემსგავსებულნი
დამმოწმებელნი სახარებისეულისა აღთქუმისა.
განკვირველულნი ესევითარითა მოხედვითა ღმრთისა
ჩვენზედა, კრძალვით ვხმოვთ ესრეთ:

გიხაროდენ, ბრწყინვალენო მნათობნო მომავალისა
აღდგომისაო;

გიხაროდენ დიდებულნო შარავანდედნო მკუდრეთით
აღმდგარისა ქრისტე მაცხოვრისაო;

გიხაროდენ, მთიებო დიდებულისა მის დღისა
უფლისათაო;

გიხაროდენ, ურწმუნო სახლეულთა შორის ქრისტეს
სარწმუნო ძეებად გამორჩეულნო;

გიხაროდენ, საკვირველსა ნათელსა და აზნაურებასა,
ვითარცა ძენი აღდგომისანი, მოწოდებულნო;

გიხაროდენ, სულისა წმიდისა მიერ ქადაგებად
საუკუნოისა ცხორებისა აღრჩეულნო;

გიხაროდენ, ვნებათ დამთმენელნო ქრისტესნო,
საყოველთაოდასა მკუდრეთით აღდგომისა
საკვირველნო მქადაგებელნო!

კონდაკი 2

მშობელნი თქვენნი, კეთილგონიერებისა თქუენისა
მხედველნი, ისწრაფდეს თქუენისა განწესებისათვის
შორის მხედრობასა მეფისასა, ხოლო თქუენ,
რომელთა მოიძულეთ ყოველივე წარმავალი სოფელსა
შინა, ზეციერისა სიონისა მეუფისად აღმართეთ
გულნი თქუენნი, რამეთუ შერაცხილ იქმენით
მეგობრად ღმრთისა და მსახურებად საიდუმლოისა

საყოველთაოდსა აღდგომისა, მგალობელნი ქრისტეს მიმართ: ალილუია.

იკოსი 2

ქრისტეს მიერისა გონებისა, განწმენდილთა სულთა მიერ შეწყნარებისა ღირსქმნილნო, საკვირველნო ყრმანო, რომელნი ცოდვათაგან იფარავთ თანატოლთა თქუენტა მადლითა ქრისტესითა, სიყვარულითა და სულთა ძმად ქმნილნო და შეერთებულნო, ამისთვისცა მიითვალეთ ჩუენგან ქებაჲ ესე:

გიხაროდენ, ერთითა ემბაზითა ნათლისღებისაჲთა აღმოშობილნო;

გიხაროდენ, ქრისტესმიერთა სიყვარულითა ძმებად შეერთებულნო;

გიხაროდენ, საყვარელნო შვილნო ეკლესიისაო;

გიხაროდენ ღმრთის ანგელოზთა თანა მზრახველნო;

გიხაროდენ, ბუნებითისა ჭამადისა უმეტესად, ჭეშმარიტისა ცხორებისა პურიტა თავთა თქუენტა გამომზრდელნო;

გიხაროდენ, ჭამადითა მით, მეოხებითა მადლისა სულისა წმიდისაითა, სიკუდილიდან ცხორებად აღმომორჩებულნო;

გიხაროდენ, ვნებათ დამთმენელნო ქრისტესნო, საყოველთაოდსა მკუდრეთით აღდგომისა საკვირველნო მქადაგებელონო!

კონდაკი 3

ძალმან ძაღლისამან, რომელი განამტკიცებს
მესაიდუმლეთა ძაღლისათა განსაცდელთა შინა,
კეთილად მძლეველითა აღიარებითა
სარწმუნოებისათა, ღირს იჩინა გვირგვინებით შემკობა
თქუენი წინაშე ანგელოზთა და კაცთა, ხოლო ჩვენ
გვასწავა გალობა ღმრთისა მიმართ: ალილუია.

იკოსი 3

სახლსა უფლისასა მოსწრაფებით ლოცვად მიმავალთა
ყოველსა დღესა, არა განაგდეს ჩვეულება ესე,
წმიდათა მათ, დევნულებასა მათ დღეთა შინა
დეკეოსისასა, ერთბამად განმცხადებლნი ქრისტეს
სარწმუნოებისა, ისწრაფდეს უწყებად მეფისა მასზედა,
გარნა ქადება მტანჯველისა მის ძალმან ღმრთისამან
განდიდებით თქუენითა გარდასცვალა. განვიხარებთ
ესევეითარითა უკუე განგებულებითა ღმრთისა
თქვენზედა და ღმობიერითა გულითა გმეტყველებთ
თქვენ ესრეთ:

გიხაროდენ, ამა სოფლის თავადისა ბნელ ძალთა,
ძაღლითა ქრისტესითა მოტებელნო;
გიხაროდენ, მსახურთა მისთა სიხენეშისა და
მზაკვრებისა ყოვლადმძლენო შემმუსვრელნო;
გიხაროდენ, რომელნი ვერ შეგაშინათ, ვერცა

გაშფოთათ მანქანებამან და მკსინუარებამან მათმან;
გიხაროდენ, ხილულითა შეწევნითა ღმრთისათა
განმტკიცებულნო; გიხაროდენ, ვითარცა ძველ
ოდესმე დანიელ, ხაროსა შინა ლომთა თანა
შთაგდებული, შორის მტანჯველთასა
განკრძალულნო;
გიხაროდენ, მადლითა ღმრთისმშობელისათა
გარემოდგომილებათა მათთაგან უვნებელად
დახსნილნო;
გიხაროდენ, ვნებათ დამთმენელნო ქრისტესნო,
საყოველთაოსა მკუდრეთით აღდგომისა საკვირველნო
მქადაგებელნო!

კონდაკი 4

განძვინებისა ქარიშხლითა აღძრული, უღმერთო მეფე
დეკოს მრისხანებითა ჰკითხვიდა წმიდათა მათ:
„რაისათვის არა ინებეთ ჩუენთანა ყოფა
დღესასწაულსა მას ღმერთთა ჩუენთასა, რომელთაცა
ყოველი სოფელი ეთაყვანების?“ ხოლო ერთმან
შვიდთაგანმან, - მაქსიმილიან მიუგო: „გვივის ჩუენ
ერთი ღმერთი და მეუფე, რომელი ჰგვიებს ცათა შინა,
მას ვსწირავთ ყოველსა ჟამსა მსხვერპლსა ქებისასა,
დიდებასა და ლოცუასა, მგალობელნი
მისდამი: ალილუია“.

იკოსი 4

ესმა რა უსჯულოსა მეფესა, ვითარ კადნიერად აღიარეთ სარწმუნოება თქუენი, ბრძანა მხედრულისა პატივისა მოღება თქვენთვის, და ესრეთ ექმნა დასაბამი გამოცდასა თქუენსა ქრისტესათვის, ქრისტეს მიერთა მსწრაფლშესმენითა უსაკვირველესითა მიძინებითა გარდაცვლილნო, გამოითხოვეთ ღმრთისაგან სიმტკიცე მგალობელთა თქუენტათვის:

გიხაროდენ, მიწიერი მეფის ლაშქრიდან ზეციური მეუფის მხედრობათა შორის აღრაცხილნო;

გიხაროდენ, მიწიერი დიდების დამტევებელთ, ზეციური დიდებისა მიმღებელნო;

გიხაროდენ, მიწიერისა პატივისა ქრისტესათვის მოკლებულნო;

გიხაროდენ, ამისათვისცა უხრწნელითა

გვირგვინებითა მის მიერ შემკულნო;

გიხაროდენ, მის მიერისა ძლევისა მქადაგებლებად გამოჩინებულნო;

გიხაროდენ, მარადიულისა დიდებისა მისისა შვიდრიცხვედნო ბრწყინვალებანო;

გიხაროდენ, ვნებათ დამთმენელნო ქრისტესნო,

საყოველთაოსა მკუდრეთით აღდგომისა საკვირველნო მქადაგებელნო!

კონდაკი 5

საღმრთოთა სიყვარულითა განმტფარნი, მადლითა ქრისტესითა დაფარულ იქმენით მტანჯველთაგან, წმიდანო ყრმანო; მაქსიმილიან, იამბლიქო, მარტინიანე, იოანე, დიონისე, ექსაკუსტოდიანე და ანტონინე, სიჭაბუკისა ჰასაკისა შვენიერება შინაგანისა კაცისა გარეგან შვენიერებასთან შეაუღლეთ და ანგელოზთაებრ მხურვალითა აღსარებითა უგალობთ ღმერთს: აღილუია.

იკოსი 5

იხილა რა ბოროტმან მეფემან დეკეოს ფრიადი კეთილშუენიერება სიჭაბუკისა თქუენისა, არ მოგანიჭათ დახსნა საკვრელთაგან არცა ერთითა დღითა. სასოებით ესწრაფდა განდგომასა თქვენსა ქრისტესაგან, ხოლო თქვენ განემორენით სახიდ თვისა, მოსწრაფებით მისცემდით ოქრო-ვერცხლს უპოვართ, რომელი განიმზადეთ ამა სოფლიდან განსვლის დღისათვის, ამისთვისცა აღვსწერთ ქების გალობასა თქვენდამი ესრეთ:

გიხაროდენ, ბოროტებით განდრეკილისა მტანჯველისა მცირეოდენი მოწყალების გაღებისათვის აღმძვრელნო;

გიხაროდენ ყმაწვილურითა სიმშვიდითა თქვენითა

ბოროტებისა მისისა მცირე ხნით დამაცხრობელო;
გიხაროდენ, ნათლის ძეთა შვენეირებითა, უსახურ
ცოდვის მსახურთა დამატყვევებელნო;
გიხაროდენ, მადლითა სულისა წმიდისათა,
მზაკვრებისა მათისა მძლეველნო;
გიხაროდენ, მიწიერისა სიმდიდრისა გაცემითა
ზეციერთა საფასითა განმდიდრებულნო;
გიხაროდენ, რამეთუ ჩვენცა გვასწავებთ ვავასხოთ
ღმერთსა, რათა მოუკლებელი საუნჯე მოვიყიდოთ
ცათა შინა;
გიხაროდენ, ვნებათ დამთმენელნო ქრისტესნო,
საყოველთაოსა მკუდრეთით აღდგომისა საკვირველნო
მქადაგებელნო!

კონდაკი 6

მღვიმე მთისა ოქლონისა, მიუთხრობს საკვირველსა
დიდებასა თქვენსა, წმიდანო ყრმანო, ხევნი და ქვაბნი
მისნი ლოცვითა თქვენითა კეთილსუნნელებენ,
სამარხისა წყვდიადიდან, ვითარცა სიმტკიცენი
ეკლესიისა და მნათობნი ზეციერისა დიდებისა,
გამოგვიჩნდით ჩვენცა და გვასწავეთ გალობად
დასაბამისა საყოველთაოდსა აღდგომისა ქრისტეს
ღმრთისა მიმართ: ალილუია.

იკოსი 6

ენება რაჲ კაცთათვის აღმობრწყინვებად ნათლისა ჭეშმარიტებისათა, განგდებად ცთომილებისა წყვდიადისა, ქრისტემან ღმერთმან ჯერ იჩინა შთასლუა თქუენი ბნელსა სამარესა, რამეთუ შემდგომად განსაკვირველითა აღდგომითა თქუენითა საყოველთაო აღდგომა დაამოწმეთ ჭეშმარიტებით. ესევეითარისა კეთილისა ჯერჩინებისათვის ღმრთისა თქუენდა მომართ, ქედ მოდრეკილნი ქების გალობასა აღვიზახებთ ესევეითარად:

გიხაროდენ, აღმსარებლობისა თქუენისა სიმტკიცისათვის საღმრთოჲთა განგებულებითა გამოსხნილნო;

გიხაროდენ, რამეთუ გვასწავებთ ჩუენცა ჭეშმარიტებისა მტკიცედ პყრობასა;

გიხაროდენ, თვინიერ საღმრთობათა ღვაწლთა თქუენთა აღმასრულებელნო;

გიხაროდენ, განსაკვირველითა ძილითა განსვენებულნო, და აღდგომითა მისგან, ცთუნებისა წყვდიადისა განმფანტველნო;

გიხაროდენ, რამეთუ ხორცნი თქუენნი დაკრძალულ იქმნა ღმრთისა მიერ უხრწნელებითა;

გიხაროდენ, საყოველთაოისა აღდგომისა უწინარეს ნებითა ღმრთისათა აღმდგარნო;

გიხაროდენ, ვნებათ დამთმენელნო ქრისტესნო,
საყოველთაოდსა მკუდრეთით აღდგომისა საკვრველნო
მქადაგებელნო!

კონდაკი 7

ულმრთო მეფემან იძულებით იზრახა
კერპთმსახურებად მოზიდუა წმიდათა ყრმათა, ჰყო
დღესასწაული კერპთა და ბრძანა მუნ მოყვანება მათი.
მსახურთა მისთა ვერ ჰპოვეს იგინი ეფესოს შინა,
ხოლო მშობელთა მათთა, შინებულთა სასჯელისა
მოვლინებითა, აუწყეს, ვითარმედ მღვიმესა შინა
შეფარულ იყვნენ, მღალადებელნი ღმრთისა
მიმართ: ალილუია.

იკოსი 7

განახლებულთა ძალითა აჩუნა სოფელმან ბოროტი
სულისკვეთება თვისი, ოდეს მშობელთა შვილთა
თვისთა სამყოფელი განუცხადეს მეფესა და ესრეთ
განუდგნენ სიყუარულსა მათსა. ამისათვისცა
რჩეულთა მიმართ ღმრთისაჲთა ვმეტყველებთ ესრეთ:

გიხაროდენ, ქვეყანისა მიერ უგულებელს ყოფილნო
და ზეცისა მიერ შეწყნარებულნო;
გიხაროდენ, ზეციერისა მამისა გამო მიწიერთა მამათა
მიერ გაცემულნო;

გიხაროდენ მისი მამობრივი სიყვარულის მეოხებით
საიდუმლოდთა ძილითა საკვირველად
დაკრძალულნო;
გიხაროდენ, უხრწნელებასა მიმთხვეულნო და
ქვეყნიერებისა აღდგომის ნათლითა
განმაცისკროვნებელნო;
გიხაროდენ, ღმრთის აღთქმათა აღსრულების
აღთქმითა აღსასრულისა ჩვენისა დამატკობელნო;
გიხაროდენ, ვნებათ დამთმენელნო ქრისტესნო,
საყოველთაოდსა მკუდრეთით აღდგომისა საკვრველნო
მქადაგებელნო!

კონდაკი 8

საკვირველი და დიდებული სასწაული ყოვლად
ძლიერისა ღმრთისა, წმიდანო ყრმანო, აღსრულებულ
იქმნა თქუენზედა, ოდეს ბრძანებითა დეკეოსისათა
კარი მღვიმისა დახშულ იქმნა და დაბეჭდულ
ბეჭდითა, ასოთხმეოცი წელი, მეფე თეოდოსის
დღეებამდე დაპყვეს მძინარეთა მუნ, ხოლო
აღმდგართა, ვითარცა ცხოველთა, არცხვინეს
სადუკეველთა ბრძნობად, ამისთვისცა ვუგალობთ
ქრისტესა, აღმადგინებელსა თქუენსა: ალილუია.

იკოსი 8

დასი შვიდთა აღმსარებელთა, ქვის სამარხში
დაცული, საუკუნოისა ცხორებისაგან არა განგდებულ
იქმნა, არამედ ასოთხმეოცისა წლისა ძილისა
თანაწარმხდელთა და ჯერჩინებითა ღმრთისათა
თვალთაგან ძილისა განმგდებთა, წმიდანი ყრმანი
აღდგნენ მკუდრეთით, ყოველსა ქუეყანასა
საყოველთაოსა აღდგომასა დაუმოწმებენ და ჩუენცა
გვასწავებენ გალობასა ესრეთ:

გიხაროდენ, ღმრთის აღთქუმათა მეოხებითა
საყოველთაოდსა აღდგომისა მიმართ სასოებისა
განმამტკიცებელნო;

გიხაროდენ, თავსაკიდურისა ლოდისა, ქრისტე
ღმრთისათვის ქვის სამარხში შემწყვდეულნო;
გიხაროდენ, საფლავად დადებულისა მიერ ბეჭდით
დაბეჭდულნო;

გიხაროდენ, კრავისა მიერ, რომელმან აღიხუნა
ცოდვანი სოფლისანი, სიკუდილისა საკვრელთაგან
გამოხსნილნო;

გიხაროდენ, რწმუნებად დაყოველთაოდსა აღდგომისა,
ვითარცა ლაზარე ოთხდღე მკუდარყოფილი,
სამარხიდან გამოხმობილნო;

გიხაროდენ, შვიდთა ქერაბინთა, წინაშე საყდრისა
დიდებისა ღმრთისასა წარმდგართა, შემსგავსებულნო;

გიხაროდენ, ვნებათ დამთმენელნო ქრისტესნო,
საყოველთაოდსა მკუდრეთით აღდგომისა
საკვირველნო მქადაგებელნო!

კონდაკი 9

ყოველნი წესნი ანგელოსთანი იხარებდეს შემდგომად
მრავალთა წელთა საკვირველისა აღდგომისა
თქუენისათვის და განჰკრთეს: ვითარმედ უდიდესისა
სასწაულისა თქვენზედა აღსრულებულისა არ
მეცნიერთა, ამბორს უყოფდით ურთიერთსა და
საცისკროდ გალობად, ვითარცა მწუხრად ძილად
მისულთა, აღუვლინეთ ღმერთს,
მგალობელთა: ალილუია.

იკოსი 9

ენამან უხვადმეტყველმან, ვერ შეუძლოს გამოთქუმად
სასწაულთა შენთა, უფალო, ვუწყით, ვითრ ნეტარი
ყრმად იამბლიქო, არ მეცნიერი თვისისა მრავლით
წლით მიძინებისა, გამოხდა მღვიმით ქალაქად,
მეძიებელი საზრდელისა, განჰკვირდა ფრიად, ოდეს
იხილა ეფესო სარწმუნოებითა ქრისტესითა
განათლებული, და ადიდებდა ღმერთსა, ხოლო ჩვენ
ვმეტყველებთ ესრეთ:

გიხაროდენ, მოქმედნო სამკალსა უფლისასა,
ლოცვათა შინა თქუენტა ცრემლთა უხვად
დამღვრელნო;

გიხაროდენ, უპოვარებასა და დევნულებასა შინა
დაძინებულნო, და დიდებითა და მონაგებთა
სიმრავლითა აღმდგარნო;

გიხაროდენ, რამეთუ განიხარეთ ქრისტეს
სარწმუნოების ძლევისთვის, რომელნიცა იდევენებოდა
თქვენ დროს;

გიხაროდენ, რამეთუ ცხადად იხილეთ ქრისტეს მიერ
ძლევად ამის სოფლისა;

გიხაროდენ, რამეთუ ჩვენცა გვასწავებთ სასოებასა
მისსა;

გიხაროდენ, რამეთუ სასოწარკვეთილებისაგან
გვიფარავთ ჩვენ;

გიხაროდენ, ვნებათ დამთმენელნო ქრისტესნო,
საყოველთაოდსა მკუდრეთით აღდგომისა
საკვირველნო მქადაგებელნო!

კონდაკი 10

ენება რად ღმერთსა სარწმუნოებაში განმტკიცებად
კაცთა, წმიდისა იამბლიქოს მიერ მოტანილითა
დრაჰკანითა განსწავლა ეპისკოპოსი ქალაქისა,
რომელმან ადიდა ღმერთი და გალობდა: ალილუია.

იკოსი 10

ზღუდედ და სიმტკიცედ სარწმუნოებისა
გამოუჩნდით წმიდანო მღვიმეში თქვენთანა
მოსრულთა და ქარტისა მპოვნელთა კაცთა, რომელსა
ზედა გამოწერილ იყო სახელები და დღე
აღსასრულისა თქუენისა, რადთა იგალობოს ყოველმან:

გიხაროდენ, შვიდრიცხვედნო რჩეულნო ჭურჭელნო
ღმრისანო;

გიხაროდენ, წმიდათა მოწამეთა თანა სიხრულისა
მრონითა ცხებულნო;

გიხაროდენ, შვიდნო ლამპარნო მანათობელნო წინაშე
საყდრისა ღმრთისა და კაცთა;

გიხაროდენ, შვიდნო საყვირნო, მახარობელნო
მეორედ მოსლვისა ძისა კაცისასა;

გიხაროდენ, შვიდნო ანგელოსნო, მაუწყებელნო
დიდებისა მათისა, რომელნი დაითმენენ ყოველივეს
სრულიად;

გიხაროდენ, რამეთუ ვითარცა შვიდტოტა კანდელი
ოქროდსა, განაშვენებთ ეკლესიასა;

გიხაროდენ, ვნებათ დამთმენელნო ქრისტესნო,
საყოველთაოდსა მკუდრეთით აღდგომისა
საკვირველნო მქადგებელნო!

კონდაკი 11

სამადლობელი გალობა ალუვლინა ყოვლადწმიდასა სამებასა კეთილმორწმუნემან მეფემან თეოდოსი, ისწრაფდა რა ეფესოდ, რადთა იხილოს წმიდანი ყრმანი, შვიდი დღე დაჰყო მათთანა, ვიდრემდე თავი მიიდრიკეს წმიდათა მათ და მიაბარეს სული უფალსა, ერთბამად სამადლობელი გალობა ალუვლინეს ქრისტესა ღმერთსა ყოველთა მუნ მყოფთა: ალილუია.

იკოსი 11

ვითარცა ბაზმაკნი, მწვალეობათა სიბნელისა განმდევნელნი, გამოცხადდნენ წმიდანი ყრმანი, ხელთუქმნელითა ნათლითა განათლებულნი და ნეტარითა აღდგომითა თვისისა შემდგომად მიძინებისა, ჭემარიტებასა მომავალისა ცხოვრებისასა დაამტკიცებენ, სადუკეველთა ბრძნობად სირცხვილულ ჰყვნეს, ყოველი განხეთქილება დააცხვრეს ეკლესიასა შინა, საყოველთაოსა აღდგომასა ლაზარე მკვდარყოფილთა თანა დაამოწმებენ. ამისთვისცა ვმადლობთ ღმერთსა და ღმობიერითა გულითა გილადადებთ თქვენ:

გიხაროდენ, მწუხრისა ცხოვრებისა ჩვენისა კეთილსასოებითა განმანათლებელნო;
გიხაროდენ, რამეთუ ღელესა ამას გლოვისასა

შთაგდებულთა ზეციერისა ნავთსაყუდელისაკენ
წარგვიმართებთ ჩვენ;
გიხაროდენ, რამეთუ ვითარცა ვარსკულავნი,
წარგვიძღვებით ნეტარსა განსასვენებელსა ლიმენასა,
პალატსა ქრისტესსა;
გიხაროდენ, მახარებელნო საუკუნოდსა ნეტარებისა,
რომელი განმზადებულ არს მგლოვარეთათვის;
გიხაროდენ, რამეთუ ამ სოფლიურ ვნებათა
უღირსებასა დაამოწმებთ მომავალისა დიდებისა
მიმართ;
გიხაროდენ, ახოვანნო, სასუფეველისა ცათასა
მკვიდრნო;
გიხაროდენ, ვნებათ დამთმენელნო ქრისტესნო,
საყოველთაოდსა მკუდრეთით აღდგომისა
საკვირველნო მქადაგებელნო!

კონდაკი 12

მადლი მოგენიჭათ ღმრთისაგან, რადთა ყოველთა
მოყვარეთა და პატივისმცემელთა მისთა, გზად
უჩვენოთ საკვირველსა ნათელსა მისსა. ესრეთ
განაცისკროვნეთ მტკიცითა სასოებითა მწუხარე
ცხოვრებად ჩუენი, დაგვიფარეთ ცოდვით დაცემისაგან
და წარმოგვიდგით ჟამსა სიკვდილისასა, რადთა
თქვენითა შეწევნითა დაუღამებელსა ნათელსა
დიდებისა ღმრთისასა მივიწივნეთ ჩვენ ცოდვილნი,

და მართალთა თანა უგალობდეთ ღმერთსა
თქუენტვის: ალილუია.

იკოსი 12

ვუგალობთ თქვენ შორის საკვირველად
განდიდებულსა ძალსა ღმრთისასა, წმიდანო ყრმანო,
და გნატრით თქუენ, რამეთუ ხელისაღმპყრობელნი
და მლოცველნი ხართ ჩვენთვის წინაშე ღმრთისა,
სიყვარულით წარმდგარნი წინაშე წმიდისა ხატისა
თქუენისა, აღვიზახებთ შესხმათა ესევეითართა:

გიხაროდენ, ქრისტიანეთა სიქადულნო და
განმამტკიცებელნო;

გიხაროდენ, მადლითა დიდებულისა თქუენმიერისა
შეწევნისათა აღმავსებელნო;

გიხაროდენ, სნეულთა ყრმათა მკურნალნო და
შესავედრებელნო;

გიხაროდენ, მშობელთა მათთა უტყუარნო
ნუგეშინისმცემელნო;

გიხაროდენ, ყოველთა მოყვარეთა და
პატივისმცემელთა თქუენტა ზღუდეო და
საფარველნო;

გიხაროდენ, ყოველთა ქრისტიანეთა შემწენო და
ხელისაღმპყრობელნო;

გიხაროდენ, ვნებათ დამთმენელნო ქრისტესნო,

საყოველთაოდსა მკუდრეთით აღდგომისა
საკვირველნო მქადაგებელნო!

კონდაკი 13

საკვირველნო ყრმანო, ნათლითა ზეციურისა
დიდებისა თქვენისათა და დამოწმებითა საუკუნოდსა
ცხორებისადთა, მწუხარისა ცხოვრებისა ჩვენისა
განმაცისკროვნებელნო! შეიწირეთ კნინი ესე ლოცვაჲ
ჩუენი და ნუ უგულებელს გვყოფთ თქუენდამი
მოლტოლვილთა, ევედრეთ ყოველთა მეუფესა
ჩვენთვის, რადთა არა მოვაკლდეთ ზეციურსა პალატსა
მისსა, არამედ ყოველთა წმიდათა თანა ვუგალობოთ
ქრისტესა ღმერთსა: ალილუია.

(კონდაკი ესე წარიკითხვის 3-გზის შემდეგ
კვალად იკოსი 1 და კონდაკი 1)

